

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის  
სხდომის

ოქმი #7

ქ.საჩხერე.

25 აგვისტო 2020 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის  
თავმჯდომარე იაგო ბერიძე

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ხვედელიძე, ლია დეკანოიძე, ირა მინშიძაძე, გაგა დარბაიძე,  
გიორგი მაჭარაშვილი, ერეკლე ჭილაძე, ნოდარი ბუღაძე..

არ ესწრებოდა: გიორგი ხარშილაძე, მამუკა ნოზაძე, კობა მოდებაძე, თედორე კალმახელიძე,  
გოჩა ახვლედიანი, გაგა დარბაიძე.

დღის წესრიგი:

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (#53/2988. 05.08.2020) განხილვის თაობაზე  
(მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების, შპს „საჩხერის  
წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის  
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ).

/მომხსენებელი იაგო ბერიძე

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (#53/3258. 20.08.2020) განხილვის თაობაზე  
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით  
უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემის მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტის  
მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი იაგო ბერიძე/

3. „საჩხერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების  
დაფინანსების მიზნით 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წლისათვის  
განსაზღვრული პროექტების მოწონების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2019 წლის 24 დეკემბრის #54 53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი იაგო ბერიძე/

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (#53/2988. 05.08.2020) განხილვის თაობაზე  
(მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების, შპს „საჩხერის  
წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის  
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ).

მომხსენებელმა სხდომას გამოახსენა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
უძრავი ქონების შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით  
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, გამოწვეულია იმით,  
რომ სოფელ ბაჯითში დამთავრდა წყლის ავზის სამშენებლო სამუშაოები და შესრულებული

სამუშაო თავისი ღირებულებით უნდა გადაეცეს შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს, საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით.

აზრი გამოთქვას: ლიამ დეკანოიძე, ერეკლე ჭილაძემ.

კომისიამ გადაწყვიტა:

საკითხი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონების, შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (#53/3258. 20.08.2020) განხილვის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემის მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა სხდომას მოახსენა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ სოფელ ცხამის დასრულებული ამბულატორიის შენობისა და მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდება სოფლის ექიმისათვის.

აზრი გამოთქვას: გიორგი მაჭარაშვილმა, კობა ხვედელიძემ.

კომისიამ გადაწყვიტა:

საკითხი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემის მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

3. „საჩხერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წლისათვის განსაზღვრული პროექტების მოწონების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის #54 53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მოახსენა აღნიშნული საკითხის შესახებ, განმარტა, რომ ზემოდასახელებულ პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომელთა პროექტირება მოხდება და განხორციელდება მათი შესრულება.

აზრი გამოთქვას: კობა ხვედელიძემ, ერეკლე ჭილაძემ, გიორგი მაჭარაშვილმა.

კომისიამ „საჩხერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წლისათვის განსაზღვრული პროექტების მოწონების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის #54 53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

შეკითხვები და შენიშვნები არ არის. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე



იაგო ბერიძე.